

თორნიკე ბურდული, იგივე „კიკე“, პერსპექტიული ფორვარდი

დღეს, თორნიკე ბურდულს, მიუხედავად იმისა, რომ პასპორტში სწორედ ეს სახელი და გვარი უნერია, ესპანეთში ყველა „კიკეს“ ეძახის. მის მამისურზე და საფეხბურთო მამისურზეც „კიკე“ აწერია. ესპანეთში ვინმე შენი ფეხბურთის თამაშით დაინტერესო და გააკვირვო, არ არის იოლი, თორნიკემ კი ეს, ნამდვილად, შესძლო. ფეხბურთის მამები თვლიან, რომ საფეხბურთო სამყაროს აქ „კიკეს“ სახით პერსპექტიული და იმედისმომცემი ფორვარდი ჰყავს.

10 წლის იყო თორნიკე, როდესაც 2004 წელს „ბარსელონას“ კლუბ „ფლორიდაში“ დაინსო ვარჯიში. 2008 წელს მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთ კვალფიციურ და საუკეთესო გუნდ „ნემანსიაში“ გადავიდა. ოთხი წელიც აქ დაჰყო და სრულწლოვანი რომ გახდა, ქალაქ სორიას გუნდ „სან-ხოსეში“ გააგრძელა მოღვაწეობა. 18 წლის მარჯვენა თავდამსხმელმა 2014 წლის სეზონი წარმატებით დაასრულა: გოლების მიხედვით გუნდში პირველი, ხოლო კლუბში მეორე ადგილი მოიპოვა. მან სეზონზე 16 გოლი გაიტანა და თითო თამაშში 5 ისეთი საგოლე მომენტი შექმნა, რომელიც გოლით დაგვირგვინდა. პერსპექტიული ახალგაზრდა „არაგონის“ პირველ ლიგაში გუნდ „ს.დ. ოლვეგაში“ ცენტრალურ თავდამსხმელად მიიწვიეს. თორნიკემ 16 თამაში ითამაშა და 7 გოლის ავტორი გახდა.

ორიოდე წლის წინ, როცა მსოფლიო ეკოლოგიურმა კრიზისმა ესპანეთსაც შეუტია, ოჯახური მდგომარეობის გამო, თორნიკეც შვედეთში გადავიდა მამასთან ერთად. იქ ერთ-ერთ წარმატებულ გუნდ „სირიანსკაში“ გამოსაცდელი ვადით ჩაირიცხა. პირველივე ცდაზე მაღალი ქუ-



ლები აჩვენა-5 გოლი გაიტანა და კლუბის პრეზიდენტმაც ემოცია ვერ დამალა: - „კეთილი იყოს ჩვენს უმაღლეს ლიგაში შენი მობრძანებაო“ - გაამხნევა ახალგაზრდა, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილან, ვერ შეძლეს, ოჯახის სხვა წევრებისაგან შორს ყოფნა და უკან, ესპანეთში დაბრუნდნენ.

თორნიკეს უფროსი ძმა დავითიც სპორტსმენია. პირველად ისიც ფეხბურთით იყო გატაცებული, მერე კულტურის გზაზე გადაერთო და.. ამ დარგში დაბრუნდაც წარმატებული სპორტსმენის

სახელი აქვს.

კოლეჯის დამთავრების პარარელურად, ძმებმა კულისაროული განათლება მიიღეს, რაც ესპანეთში ახლა ძალიან მოდური გახლავთ. დათუნა მოსამზადებელ კურსებზე სწავლობს და უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება. თორნიკეს კი ჯერჯერობით, ბურთის გარდა არაფერი ახსოვს, სწამს და სჯერა, რომ უფრო მაღალ მწვერვალზე შეეჭიდება და გაიმარჯვებს კიდევ, მის ძარღვებში ხომ მთის ხალხის ბობოქარი სისხლი ჩქეფს და უდრეკი სული ბუდობს. თუმცა, ვფიქრობ, ცოტა უფრო შორიდან დავიწყო: - ვინ არიან ეს ბრგე და ვაჟკაცი ახალგაზრდა ბიჭები, საიდან მოხვდნენ ესპანეთში, ვის ფესვებზე ამოზრდილი ყლორტები არიან, ვის ჯიშა და ჯილაგს აგრძელებენ!

მათი ფესვები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედშია. რაიონში თითქმის ყველამ იცის ქვემო ქედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წარჩინებული პედაგოგის გულნარა ტვილიდინის ცხოვრების ტრაგიკული ისტორია. ოთხი თვის ფეხმძიმეს მოულოდნელად მეუღლე გარდაეცვალა, მეუღლე, რომლის სიყვარულმაც სვანი გოგონა ქვემო ქედში ჩამოიყვანა და დაასახლა. კარგი ვაჟკაცი იყო ფირუზ ბურდული, ოთხი დის საფიცარი ერთადერთი ძმა და მოხუცი მშობლების ერთადერთი იმედი. როგორც იტყვიან, კარგ ყმას სახელი შეუნახა ქალბატონმა გულნარამ, არ

მიატოვა კერა და გამწარებული მშობლები. მათი სევდის მალამოდ და საიმედოდ ვაჟი მისცა ბუნებამ და მასში გაგრძელდა ბურდულებისა და ტვილიდინების სიცოცხლე. ბიჭს მამის სახელი - ფირუზი დაარქვეს. იზრდებოდა სოფელში მამის მოსახლელ დედისერთა და კარგი ახალგაზრდაც დადგა. სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა, სპორტშიც ტოლს არავის უდებდა. 1989 წელს დაამთავრა ფირუზმა საშუალო სკოლა. მერე ქალაქ გორის უნივერსიტეტის სავაჭრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და სოფელში დაბრუნდა. სიყვარულმაც არ დააყოვნა და ზემოქედელ ანა კობაიძესთან ერთად ლამაზი ოჯახი შექმნა. ანა ისტორიკოსი გახლდათ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. უფალმა წყალობა მოიღო და ახალგაზრდებს ერთმანეთის მიყოლებით ორი ვაჟი შეეძინათ-დავითი და თორნიკე. ყველას გვახსოვს გასული საუკუნის დასასრული წლები: - გაჭირვება, ყველაფრის წგრევა, უშუქობა, უსახრობა, უქონლობა, უშუშევირად დარჩენილი დიდი და პატარა. სხვებთან ერთად გაუჭირდა გულნარა ტვილიდინის მრავალსულიან ოჯახსაც - მცირეწლოვანი ბავშვები, მოხუცი დედა-მთილი. ხან აქეთ მიანყდა ფირუზი, ხან იქეთ. არაფერს თაკილობდა, არ ყოყლოჩინობდა, დიპლომინი ვარ და არ მეკადრებაო, მუშადაც იმუშავა, საქონლის მომრავლებასა და მინდვრის დამუშავებაშიც ცვადა ბედი, მაგრამ... იძულებული გახდა და საზღვარგარეთ წასვლაზე დაინსო ფიქრი. ასე იყო თუ ისე, ესპანეთში გაემგზავრა. შრომა არ ეზარებოდა, სამშენებლო-სარემონტო ქართული ბრიგადა ჩამოაყალიბა და პატიოსანი, თავდადებული და კეთილსინდისიერი შრომით შეძლო მოეწყო ცხოვრება, მაგრამ სამშობლოს ნოსტალგიას და ოჯახის მონატრებას ვერ უძლებდა. უკვე 9 და 10 წლის ბიჭები იყვნენ თორნიკე და დათუნა, როცა, დედასთან ერთად, მამასთან ჩავიდნენ ბარსელონაში. მათი ცხოვრების განვლილი გზის შესახებ წერილის დასაწყისში უკვე ვისაუბრეთ. ფირუზი დღეს საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელია ფასადების, მოზაიკის და კაფელზე მუშაობის სპეციალიზით.. ალალი შრომით ოჯახს უძღვება და სულ იმაზე წუხს, ხომ არაფერი უჭირს მის საყვარელ დედას სოფელში. ცდილობენ, ყოველწლიურად ესტუმრნენ მშობლიურ სახლს, ახლობლებიც გაახარონ და თავდაც მოეფერონ მონატრებულ ნათესავებსა თუ მეზობლებს. 2015 წლის დადგომასაც მთელი ოჯახი ქვემო ქედში შეხვდა. მათი ნატვრია, საქართველოში ცხოვრების პირობები და ცხოვრების დონე იქამდე მივიდეს, რომ სამშობლოს დაუბრუნდნენ. მანამდე კი ესპანური ცხოვრება გრძელდება: მშობლები შრომობენ და ყველანაირ პირობას უქმნიან შვილებს, იყვნენ რეალიზებული და წარმატებულნი, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სპორტში, რომელიც მათი სულის ნაწილია.

წარმატებები, თორნიკე! წარმატებები, დათუნა! გახსოვდეთ, თქვენი ფესვები აქ არის, საქართველოში.

ნაირა გორაშვილი



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა განსხვავებული მექანიზმით განხორციელდება

2015 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა განსხვავებული მექანიზმით განხორციელდება. ახალი რეგულაციების მიხედვით, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობა ექნება პროექტების განხორციელების შედეგად დარჩენილი ფულადი ნაშთები გააერთიანოს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტში დამატებით პროექტის დასაფინანსებლად მიმართოს. უწყების განმარტებით, სამინისტრო განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტებს, რომელიც ზოგად მიმართულებას აძლევს პროექტებს და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ადგენს კონკრეტული სოფლისთვის გამოსაყოფი თანხის ოდენობას. ასევე სამინისტროს მსუბუქი მონიტორინგისა და რეკომენდაციების სახით უფლება აქვს დაინტერესდეს იხარჯება თუ არა თანხები სოფლის მიერ განსაზღვრული და მოთხოვნილი მიმართულებით.

„თუ შარშან სოფლებისათვის (დაბა-ქალაქი) თანხების გამოყოფა მთავრობის განკარგულებით ხდებოდა, ახლა მთავრობის განკარგულებით თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტისთვის ხდება და უკვე

ის უმტკიცებს თითოეულ დასახლებულ პუნქტს პროექტისათვის თანხას. შესაბამისად, სოფლების კრებები ახლა უკვე მუნიციპალიტეტებს წარუდგენენ ოქმებს, პროექტების დასაფინანსებლად. ადგილობრივი ხელისუფლება ანაწილებს თანხებს, აცხადებს ტენდერებს, დებს ხელშეკრულებებს ზედამხედველობის სამუშაოებს და ა.შ.“ - განაცხადეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მთავრობის გადაწყვეტილებით

2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის

დასახლებულობის, საგან 50 მილიონი ლარი დაინარჩუნდა

- 200-ზე ნაკლები მცხოვრებელი - გამოიყოფა 4 000 ლარი
- 201-400 მცხოვრებელი - გამოიყოფა 5 000 ლარი
- 401-1 000 მცხოვრებელი - გამოიყოფა 8 000 ლარი
- 1 000-ზე მეტი მცხოვრებელი - გამოიყოფა 12 000 ლარი

თანხა მოხმარდება

ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა

საერთო სარგებლობის ობიექტების აღდგენა

თბილისი, 2015

Table with 7 columns: დასახელება, 2014 წლის გეგმა (სულ, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, საკუთარი შემოსავლები), 2014 წლის თორმეტი თვის ფაქტი (სულ, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, საკუთარი შემოსავლები). Rows include შემოსავლები, გადასახადები, გარანტიები, სხვა შემოსავლები, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, სუბსიდიები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები, საოპერაციო საღაღო, არაფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება, ზრდა, ვალუტა და დეპოზიტები, კლება, ვალუტა და დეპოზიტები, წინა წელს გამოყენებული თანხის დაბრუნება, ნაშთი წლის დასაწყისისათვის, ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

Table with 7 columns: დასახელება, კოდი, 2014 წლის გეგმა (სულ, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, საკუთარი შემოსავლები), 2014 წლის თორმეტი თვის ფაქტი (სულ, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, საკუთარი შემოსავლები). Rows include შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, შემოსავლები, გადასახადები, ქონების გადასახადი, საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა), ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე, არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ფიზიკური პირებიდან, იურიდიული პირებიდან, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ფიზიკური პირებიდან, იურიდიული პირებიდან, სხვა გადასახადები ქონებაზე, გარანტიები, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები, გათანაბრებითი ტრანსფერი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სხვა შემოსავლები, შემოსავლები საკუთრიდან, პროცენტები, რენტა, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, შემოსავალი მიწის ოჯარიდან და მართვამი (უზურუნველეთი, ქონებზე და სხვა) გადაცემიდან, საკონტინენტო და მომსახურების რეალიზაცია, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები, სანებართვო მოსაკრებელი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, საშუალო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, არასახარო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, შემოსავლები მომსახურების გაწვიდან, ჯარიმები, სანქციები და საურავები, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, მართვამი აქტივები, არაწარმოებული აქტივები, მიწა, სხვა ბუნებრივი აქტივები.

Table with 7 columns: დასახელება, 2014 წლის გეგმა (სულ, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, საკუთარი შემოსავლები), 2014 წლის თორმეტი თვის ფაქტი (სულ, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, საკუთარი შემოსავლები). Rows include დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, სუბსიდიები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, არაწარმოებული აქტივები, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, არაწარმოებული აქტივები, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, არაწარმოებული აქტივები, მუნიციპალიტეტის გამგეობა, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, არაწარმოებული აქტივები, საერთო ფონდი, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, ჰერალდიკა, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, საგანგებო სიტუაციების მართვა, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, ქვეყნის, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, მომუშავეთა რიცხოვნობა, ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონტინენტო და მომსახურება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, დასუფთავების ღონისძიებები, ხარჯები, საკონტინენტო და მომსახურება, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები, მრავალსართულიანი სახეობრივი კორპუსების სახურავების და ფასადების, არაფინანსური აქტივების ზრდა, მართვამი აქტივები.

Table with 10 columns and multiple rows showing financial data for various categories like 'ბიუჯეტის აღრიცხვა', 'საგანმანათლებლო დონსიბიები', etc.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-სატესტაციო კომისიამ 2015 წლის 16 თებერვალს ხელახლა გამომაცხადა კონკურსი მუნიციპალიტეტის გამგეობის 18 ვაკანტური თანამდებობაზე

- 1. იური-დიული სამსახური... 2. იური-დიული სამსახური... 3. ადმინისტრაციული სამსახური... 4. ადმინისტრაციული სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულში... 5. ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების... 6. ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების... 7. ჯანდაცვა-სამსახურის მთავარი სპეციალისტი... 8. ჯანდაცვა-სამსახურის მთავარი სპეციალისტი... 9. საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალური მთავარი სპეციალისტი... 10. სოფელ მირზანის ადმინისტრაციულ ერთეულში... 11. სოფელ ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში... 12. სოფელ სამთავაროს ადმინისტრაციულ ერთეულში... 13. სოფელ სამთავაროს ადმინისტრაციულ ერთეულში...

ჩათვლით. ტესტირების ეტაპზე კონკურსანტებს მოეთხოვებათ შემდეგი კანონების ცოდნა: - საქართველოს კონსტიტუცია - საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 დღის ვადაში საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს: - განაცხადი მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე: www.hr.gov.ge. - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. - განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის, საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);



გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტმა დამატებით უნდა იცოდეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 იანვრის N6 დადგენილება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ დამატებითი მოთხოვნები: პასუხისმგებლობის გრძობა ორგანიზებულობა კომუნიკაციის უნარი სანდობა ეთიკურობა დროის ეფექტურად მართვა სასურველია უმაღლესი განათლება(ბაკალავრი/მაგისტრი) დამატებითი ინფორმაცია

2. კონკურსს ატარებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია 3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატს უფლება აქვს განაცხადი წარუდგინოს ერთდროულად არაუმეტეს 5 (ხუთ) ვაკანსიაზე, ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე: www.hr.gov.ge. 4. კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე: (www.hr.gov.ge) ბლოკში პირადი ინფორმაცია, უნდა ატვირთოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბლოკში განათლება-კვალიფიკაცია, უნდა ატვირთოს შესაბამისი განათლების დამა-

დასტურებელი დოკუმენტი. 5. კონკურსი ჩატარდება 3 (სამ) ეტაპად: ა. პირველი ეტაპი: განაცხადების გადარჩევა - რომლის შემდეგ კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებენ და ტესტირების ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომელთა წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; ბ. მეორე ეტაპი: ტესტირება - რომლის შემდეგ კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებენ და გასაუბრების ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც გადალახავენ ტესტირების ეტაპის მინიმალურ ზღვარს - 50%-ს პლიუს ერთი ქულა, არანაკლებ 31 ქულას. გ. მესამე ეტაპი: გასაუბრება. 6.ტესტირება ჩატარდება

ორი მიმართულებით - საქართველოს კანონმდებლობასა და ზოგად უნარებში. კანონმდებლობის ნაწილში იქნება სულ 45 ტესტი, ხოლო ზოგადი უნარების ნაწილში იქნება 15 ტესტი. 7. ტესტის ორივე ნაწილში მოცემული იქნება დავალების პირობა და მასთან დაკავშირებული ოთხი საფარაუდო პასუხი. ტესტზე მუშაობისას კანდიდატმა უნდა მონიშნოს შემოთავაზებული ოთხი პასუხიდან მხოლოდ რომელიმე ერთი, მისი აზრით, სწორი პასუხი. თითოეული სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით. ტესტირების მაქსიმალური ქულა არის 60. 8. ტესტირების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს ეცნობება მის მიერ გაკეთებულ განაცხადში მითითებული ელექტრონული

ფოსტის საშუალებით. 9.კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება კონკურსის ეტაპების (განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების შესახებ) კანდიდატებს ეცნობება მათ მიერ განაცხადში (აპლიკაციაში) მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. dedoplistskaro_region@yahoo.com ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44 გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, განაცხადის წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

საკონკურსო-სატესტაციო კომისიის შემადგენლობა

- 1) სოლომონ ლორაშვილი - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველი მოადგილე. 2) გოჩა სამუშაიანი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. 3) ელენე ბაიბაშვილი - კომისიის წევრი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი. 4) მარინა შიტიშინი - კომისიის წევრი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. 5) გივი გიგაშვილი - კომისიის წევრი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. 6) ქეთი მოთარაშვილი - კომისიის წევრი, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დირექტორი. 7) ქეთი ღარიბაშვილი - დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

152 წლის წინ "საქართველოს მოამბე" გამოვიდა


რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება ილია ჭავჭავაძის ფენომენი ქართველებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება მის პუბლიცისტიკას, რომელიც ავლენს მის დამოკიდებულებას იმ კონკრეტული საკითხების მიმართ, რაც დღესაც აქტუალურია ინარჩუნების თანამედროვე საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. ილია საქართველოში დაბრუნდა, 1861 წელს. ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველ წელსვე თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი თაობა, ქვეყნის ცოცხალი ძალები. ამ დროს ილიას მოთავეობით, ჩაეყარა საფუძველი, იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც „პირველი დასის“ სახელით არის ცნობილი.

1861-1863 წლებს ეკუთვნის ილიას უმნიშვნელოვანესი თხზულებანი: „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი?!“. ამავე პერიოდს ეკუთვნის ილიას ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილი, რომელიც იხსენება ილიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. წერილში ილია შემოხაზავს თავისი და-

სისა და ჟურნალის სამოქმედო პროგრამას: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, - ამ კანონს გაგება უნდა, გამოფენა საკვებოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა შეაყენოს. ამიტომაც ჩვენი „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება, თავის სრულის წაროებითა, სრულის ვითარებითა... ჩვენ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუ ჩაძახილის ამოხსნა, მისი ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა...“

ილია და მისი დასი, 60-იან წლებში, სალიტერატურო პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. 1862 წელს ილია ჭავჭავაძე, ახალი თაობის წარმომადგენლებთან

ერთად შეეცადა დაეარსებინა ქართული ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი ქართული წერა-კითხვისა



და წიგნების გავრცელება იყო ხალხში, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო ასეთი ორგანიზაციის მოქმედებას.

1863-1865 წლებში საქართველოში მზადდებოდა საგლეხო რეფორმა. ილიას ამ დროს შეტაკება მოუხდა რეაქციონურად განწყობილ თავადაზნაურობის წრეებთან. ამ მძიმე პირობებში ილიამ შეძლო გამოეცა „საქართველოს მოამბის“ 12 ნომერი, რის შემდეგაც ჟურნალი დაიხურა. „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე 1863 წელს დაიბეჭდა ილიას შემდეგი ნაწერები: „კაცია-ადამიანი?!“ „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“-დან ნაწყვეტები.

ილიამ თავისი პუბლიცისტური კალამი ყველაზე მარჯვედ მოსინჯა „საქართველოს მოამბეში“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონვე იყო. „საქართველოს მოამბე“, ეს იყო ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, „თერგდალეულების“ ორგანო, რომელიც გამოდიოდა 1863 წელს თბილისში.

არ დარჩენილა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არცერთი სფერო, რომელზეც

ილიას თავისი აზრი არ გამოეხატოს „საქართველოს მოამბის“ საშუალებით. ჟურნალში დაბეჭდილი მასალები მოიცავდა ისტორიას, ლიტერატურას, თეატრს, ეკონომიკას, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას.

ის, რასაც ილია ჭავჭავაძე 152 წლის წინ „საქართველოს მოამბის“ საშუალებით მოახსენებდა, უშუალოდ გამოძახილს პოეზიას დღევანდელ საზოგადოებაში. დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება, სიტყვის და აზროვნების თავისუფლება ისეთივე მნიშვნელოვანია დღეს, როგორც ეს იყო 152 წლის წინ.

ჟურნალ „საქართველოს მოამბეზე“ ვსაუბრობთ დღესაც, ვსაუბრობთ იმიტომ, რომ იგი ილიასეული იდეოლოგიის გამტარებელია და იმიტომ, რომ მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მისია ჰქონდა დაკისრებული.

„საქართველოს მოამბე“ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული პრესის და საერთოდ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

„მწერალს თუ ერთი ერთგული მსგენელი გაინც ჰყავს, მან თავისი მოვალეობა მოიხადა“ ...

დედოფლისწყაროს საკრებულოს დადგენილებით წარმატებულ დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს პერიოდულად ფულადი ჯილდო გადაეცემათ. გასული წლის ბოლოს თვითმმართველობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამი წარმატებული ახალგაზრდა უკვე დააჯილდოვა. სწორედ ამ თანხით ახალგაზრდა პოეტმა, მწერალმა კავშირის წევრმა ქეთევან ნათელაძემ მეორე პოეტური კრებულის გამოცემა შეძლო.

ნიგნის „რეპორტაჟი ციდან“ პრეზენტაცია თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. შემოქმედების რა ნაწილი მოხვდა კრებულში, ამ და სხვა თემებზე ანთროპოლოგმა ნათელაძემ გაზეთ „შირაქთან“ ისაუბრა. ახალგაზრდა პოეტი უახლოეს მომავალში ნიგნის პრეზენტაციის გამართვას დედოფლისწყაროშიც გეგმავს.

„ლექსების წერა საკმაოდ მცირე ასაკში დაიწყო. გავლენა დედამ იქონია, ის ყოველთვის მომინობდა და მიჩვენებდა, რომ მეკითხა, პოეზია მყვარებოდა. პირველი ლექსიც, რომელიც დაწერე იყო თბილისზე, ის დედაჩემმა ჩაიწერა და დღემდე შემონახა. რაც შეეხება ჩემი შემოქმედების ფართო მასშტაბისთვის გაცნობას, პირველი წელიწადი ამაში სწორედ გაზეთმა „შირაქმა“ შეიტანა. წლების წინ, ამ გაზეთის რედაქტორმა ქალბატონმა ნაირა გორაშვილმა მოამზადა ჩემს შესახებ მასალა და რამდენიმე ლექსი თქვენს გაზეთში გამოაქვეყნა. სტატია ისე მომზადდა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და როცა გამოქვეყნდა შემდეგ ვნახე. ასეთი სასიამოვნო სიურპრიზი მომიხვეს, როცა ძალიან გამახარეს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ნაირას, ამ საჩუქრისთვის. როგორც ჩანს, ქალბატონი ნაირას მხარდაჭერა ფეხდებნიერი აღმოჩნდა ჩემთვის და მას შემდეგ აქტიურად ვიბეჭდები რეპუბლიკურ გამოცემებში. შემდეგ იყო სხვადასხვა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, მათთან თანამშრომლობა.

- ქეთევან, ორი პოეტური კრებულის ავტორი ხარ, ამ წიგნების შესახებ გვიამბე...

- თავდაპირველად, მე-თერთმეტე კლასში სწავლისას,

დეპუტატ ავთანდილ ლეკაშვილის დაფინანსებით შექმნილი ჩემი პირველი კრებულის „ყვავილების ინტერლუდია“ გამოცემა. ეს წიგნი არ გაყიდულა. შევარჩიეთ საუკეთესო ლექსები და ჩემი რამდენიმე პოემა. ეს კრებული იყო ჩემი შემოქმედების დასაწყისი, მას შემდეგ სხვა სტილში ვწერ და ის ლექსები თითქოს უცხოვდება ჩემთვის.

ამჯერად კი, დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობის თანადგომით ფულადი ჯილდო გადმომიცა, რაც ნიგნის გამოცემას მოვახმარე და დღეს საშუალება მაქვს ჩემი მეორე კრებული ხელში მეკავოს. ამიტომ, როცა მეორე კრებულზე ვსაუბრობ ვინცებ, დასაწყისში, აუცილებლად მინდა მადლობა ვუთხრა დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად ჯავახიშვილს. მისი მხარდაჭერით ამ წიგნი დაწერა და ამ წიგნის გაყიდვას ვაძლავებ. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა მწერალთა კავშირს, ისინი მთელი ამ წიგნის მანძილზე გვერდით მდგნენ და ამ წიგნის გამოცემაში მენამარებოდნენ. მეორე კრებული უფრო მომწონს, რადგან ჩემი შეფასებით, ისეთი გამოვიდა, როგორც ყოველთვის ველოცებოდი. ბეჭდვის ხარისხიც ძალიან მაალაია, სქელი ყდით გამოიცა, კარგი ტირაჟით და ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ამის მიღწევა მოხერხდა. სულ რამდენიმე კვირაა, ამ წიგნის გაყიდვა „ბიბლუსის“ მაღაზრითა ქსელშიც დაიწყო, 7 ლარია მისი ღირებულება და ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

- კრებულის პრეზენტაციაზე გვესაუბრე...

- ნიგნის პრეზენტაცია გამოცემიდან სამ კვირაში ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა. რა თქმა უნდა, პრეზენტაციაზე ყველა ლექსს ვერ წავიკითხავდი და ახალი კრებულის დასაწყისში შეკრებულ საზოგადოებას წაუკითხე. საღამოს ესწრებოდნენ მწერლები, ჩემი მეგობრები, პოეზიის მოყვარული საზოგადოება, თანამედროვე, ჩემი თაობის, ახალგაზრდა პოეტები. ვფიქრობ, რომ პრეზენტაცია შედგა, საინტერესოდ წარიმართა და კმაყოფილი ვარ. გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც მინდოდა. ეს ჩემი

დომარეს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ მაყვალას, რადგან ის ყოველთვის ჩემს გვერდით არის. ამჯერადაც, დედოფლისწყაროს დაფინანსებით გამოცემული კრებულის რედაქტორიც მაყვალა გონაშვილი გახლავთ. თბილისში გამოსვლის შემდეგ გავხდი მწერალთა კავშირის წევრიც. გავხდი ასევე ხელოვნების და მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ამ სფეროში გზა გამეხსნა.

- არ არის ადვილი ამ ასაკში მწერალთა კავშირის წევრობას მიაღწიო, ეს რა განცდა შენთვის...

რადგან ამით ვცოცხლობ, ამით ვსაზრდობ და ესაა ჩემი მთავარი მოწოდება. მაგრამ ძალიან მინდოდა ფსიქოლოგია, მაინტერესებს ეს სფერო და მინდა ამ კუთხითაც განვითარდე. პოეზია ჩემთვის ყველაფერია, რთულია სიტყვებით ავხსნა, ცხოვრების მუხტია. თითქმის ყოველდღე ვწერ ლექსებს, არ აქვს ლიმიტი. შესაძლებელია ქუჩაში დაწერო, ტრანსპორტში, ყველაგან შეიძლება წერის სურვილი გამოჩნდეს. რაც შეეხება ფსიქოლოგიის პროფესიას, ეს იმითაა საინტერესო, რომ თავიდან ბოლომდე მოიცავს ადამიანს და მიმართა, რომ ადამიანზე საინტერესო არაფერი აღარ არის. ეს პროფესია ძალიან მეხმარება, რადგან ფსიქოლოგს უფრო მეტად უაღვივლებს ადამიანებთან კომუნიკაცია. ფსიქოლოგი სხვა თვალთ უყურებს სამყაროს და სხვანაირად აღიქვამს სამყაროს. ეს არც პოეტი უჭირს, მაგრამ როდესაც პოეტი და ფსიქოლოგი ერთდროულად ხარ, ეს უფრო საინტერესოა.

- არ არის შენი სამომავლო გეგმები?...

- უახლოეს მომავალში მინდა ჩავატარო ჩემი პოეზიის საღამო, ცხადია არ გავჩერდები და ვიმედოვნებ, რომ წიგნების გამოცემას კიდევ შევძლებ და უფალი დამეხმარება ამაში. სავარაუდოდ, მართლაც თვეში ვაპირებ მშობლიურ დედოფლისწყაროში ამ წიგნის პრეზენტაცია. ცხადია იქ ყველა იმ ადამიანს მოვიხვევთ, რომელიც გვერდით მდგა და ამ წიგნის გამოცემაში დამეხმარა. საკმაოდ იმედია ვარ განწყობილი. მთავარი მაინც ისაა, როცა ადამიანებს უყვარხარ. ნათქვამია, რომ თუ მწერალს ერთი ერთგული მსგენელი მაინც ჰყავს, მან თავისი მოვალეობა მოიხადა.

- პოლიტიკაზე მინდა გკითხო, როგორ ფიქრობ, რამდენად სწორია გზაზე დგას ჩვენი ქვეყანა და როგორ ართმევს თავს სიძნელებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება?

- მიუხედავად იმისა, რომ ძალზე აპოლიტიკური ადამიანი ვარ, ყველა ადამიანს ალელვებს



პირველი საღამო არ ყოფილა დედაქალაქში. პირველივე კურსიდან ხშირად ვატარებდი შემოქმედებით საღამოებს უნივერსიტეტში, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიაში.

- როგორც ვხედავთ გაცილებით ფართო ასპარეზზე გასვლა სტუდენტობის შემდეგ მოახერხე...

- დიას... სკოლის დამთავრების შემდეგ დედაქალაქში წავიდი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე ფსიქოლოგიის განხრით. ამის შემდეგ უფრო ახლოს გავიცანი ლიტერატურული წრეებს და დაუახლოვდი მათ. მანამდეც, სკოლიდანვე ვიცნობდი მწერალთა კავშირის თავმჯ-

როდესაც ხარ ასეთი ისტორიის მქონე კავშირის წევრი ეს ახალგაზრდა შემოქმედისთვის რალაც ტვირთი ნამდვილად არის. თუნდაც იმიტომ, რომ ატარებ არა მხოლოდ საკუთარ სახელს და იმიჯს, არამედ საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილის მქონე მწერალთა კავშირის სახელს.

- რით იყო საინტერესო ფსიქოლოგიის პროფესია?

- წელს ვამთავრებ უნივერსიტეტს, ამჟამად, ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. ვფიქრობ, რომ ამ გზით წარმართავ ჩემს ცხოვრებას. რა თქმა უნდა პოეზიას და ლიტერატურას არ მოვწყვედბი,

VIRUS

გრიპი და გასიება

ვირუსის ახალი ტალღა ჯერ კიდევ წინ არის, — აცხადებენ „დაავადებათა კონტროლის ცენტრში“.

წელიწადის რა პერიოდშია გრიპი ყველაზე აქტიური და როგორ დავიცვათ თავი საზონური გრიპისგან? რას ნიშნავს ჯამო რეპირატორული ბრძოლის მფარვე ინფექცია და რა არის გასიება?

გაციება — ხშირად ცნობილია, როგორც ზემო რესპირატორული ტრაქტის ვირუსული ინფექცია, საკმაოდ ხშირია და აქვს შეზღუდული ხასიათი. მთელი წლის განმავლობაში სკოლამდელი და დამწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებმა შესაძლოა 3-12-ჯერ გადაიტანონ გაციება, მაშინ როდესაც მოზარდებსა და ზრდასრულებში, წლის განმავლობაში, მხოლოდ 2-4ჯერ გვხვდება. გაციება ყველაზე ხშირი და გავრცელებული დაავადება მსოფლიოში. იგი ექიმთან ვიზიტების, სკოლისა და სამსახურის გაცდენის წამყვანი მიზეზია.

რა ინვესტაცია გაციებას და რა ინვესტაცია გრიპს?

ცნობილია 200-ზე მეტი სახეობის ვირუსი, რომლებიც ინვესტაცია გაციებას, მაშინ როდესაც გრიპის გამომწვევი 3 სახის ვირუსი არსებობს: A, B და C.

A და B ტიპის ვირუსები ინვესტაცია გრიპის ეპიდემიებს, ასევე ისინი ცირკულირებენ მოსახლეობაში ეპიდემიებს შორის პერიოდში, როგორც სეზონური გრიპის გამომწვევი. ეპიდემიის ან სეზონური გავრცელების დროს მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს აღენიშნება ხველა, მაღალი ტემპერატურა და ყელის ტკივილი. A ტიპის გრიპის ვირუსი ყოველ 20-50 წელიწადში ერთხელ ინვესტაცია პანდემიებს. C ტიპის ვირუსი, ასევე ინვესტაცია გრიპს, თუმცა ჩ ტიპით გამომწვევი გრიპის სიმპტომები ნაკლებად მძიმეა.

როგორ დავაავადო უფრო მსუბუქად მიმდინარეობს ადამიანისთვის?

ადამიანების უმეტესობას ეშლება გაციება და გრიპი ერთმანეთში.

გაციებისგან განსხვავებით, გრიპი გამომწვეულია გრიპის ვირუსით. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სიმპტომები მსგავსი იყოს, გაციება უფრო მსუბუქად მიმდინარეობს ვიდრე გრიპი.

შეუძლიათ თუ არა ანტიბიოტიკებს დაავადებულ გრიპი და გასიება?

გრიპი და გაციება, ორივე რესპირატორული ტრაქტის

კონტაგიოზური ვირუსული ინფექციებია. გაციება აზიანებს ზედა რესპირატორულ ტრაქტს (სინუსებს, ნაზალურ არხებს, ხორხს და ყელს), ხოლო გრიპი აზიანებს სასუნთქ სისტემას (ცხვირი, ყელი, ტრაქეა, ბრონქები და ფილტვები). ცნობილია 200-ზე მეტი სახეობის გაციების გამომწვევი ვირუსები და რამდენიმე წელიწადში ერთხელ ჩნდება ახალი ვირუსული შტამები. იქიდან გამომდინარე, რომ ორივე დაავადება ვირუსულია, მათზე არ მოქმედებენ ანტიბიოტიკები. გასივდეთ: ანტიბიოტიკები ზემოქმედებენ მხოლოდ ბაქტერიულ ინფექციებზე. მცირე რაოდენობით ანტივირუსული პრეპარატების მიღება საკმარისია გრიპის სამკურნალოდ, მაგრამ არ არსებობს სპეციფიური პრეპარატები, რომლებიც დაამარცხებენ გაციებას. ანტიბიოტიკების დახმარება შესაძლოა საჭირო გახდეს თუ ადგილი ექნება მეორად ბაქტერიულ ინფექციას.

რითი გავს და რით განსხვავდება პრეპარატებისა და გასიება?

ცხვირის გაჭედვა, ყელის ტკივილი და ცემინება დამახასიათებელია გაციებისთვის. გრიპს და გაციებას, ორივეს ახასიათებს ხველა, თავის ტკივილი და დისკომფორტი გულმკერდის არეში. გრიპისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი მაღალი ტემპერატურა რამოდენიმე დღის განმავლობაში, თავისა და კუნთების ტკივილი, სისუსტე და დაღლილობა. გართულებები გაციების დროს, ჩვეულებრივ, მსუბუქად მომდინარეობს, თუმცა, გრიპიცა და გაციებაც შესაძლოა გართულებდეს ისეთი სიცოცხლისთვის საშიში დაავადებით, როგორცაა პევმონია.

დაავადებულ თუ არა გასიება და გრიპი სივ აინფექციან?

გაციება და გრიპი ხშირად გვხვდება შემოდგომისა და ზამთრის სეზონზე. ცივი ამინდი თავისთავად არ ინვესტაცია გაციებას. ზამთრის ცივ ამინდში ადამიანები უფრო მეტ დროს ატარებენ დახურულ სივრცეებში და აქვთ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კონტაქტი, ეს ყველაფერი უფრო აადვილებს ვირუსის გავრცელებას. სწორედ ამ მიზეზით, ბავშვები სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ინფიცირდებიან და „ცვლიან“ ვირუსებსა და სხვა გამომწვევებს.

რას ახასიათებს ცხვირის გაჭედვა და ყურის ტკივილი?

ისეთი გართულებები, როგორც არის ცხვირის გაჭედვა და ყურის ტკივილი ძირითადად დამახასიათებელია გაციებისთვის.

რას ახასიათებს თავის ტკივილი?

გრიპის დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს თავის, ყელისა და კუნთების ტკივილს, შემცივნებასა და ოფლიანობას, ტემპერატურის ცვალებადობის გამო, იშვიათად ჩნდება ცხვირის გაჭედვა ან გამონადენი; მოსალოდნელია დაღლილობისა და სისუსტის შეგრძნება, გადატანის შემდგომ 2-3 კვირის განმავლობაში. თავის ტკივილი ნაკლებად



ბადაა დამახასიათებელი გაციებისთვის.

200-ზე მეტი გასიების გამოწვევი ვირუსისგან როგორ დავაავადო გავრცელებული?

გაციების ყველაზე გავრცელებული გამომწვევებია რინოვირუსები. ისინი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ადრეულ შემოდგომაზე, გაზაფხულსა და ზაფხულში. დღეისთვის 110-ზე მეტი სახეობის რინოვირუსია იდენტიფიცირებული. მათი გამრავლებისთვის ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა ადამიანის ცხვირის ღრუში. რინოვირუსების უმეტესობა იშვიათად ინვესტაცია სერიოზულ დაავადებას. გაციების გამომწვევი სხვა ვირუსები, ისეთი როგორცაა პარაგრიპი და ლმV მოზრდილებში ინვესტაცია მსუბუქ ინფექციას, მაგრამ ბავშვებში მათ შესაძლოა გამოიწვიონ მძიმე ქვედა რესპირატორული ტრაქტის ინფექციები.

რა ეწოდება გრიპის სამკურნალო პრეპარატებს?

წამლებს, რომლებიც განსაზღვრულია გრიპის სამკურნალოდ, ეწოდება ანტივირუსული პრეპარატები. ტერმინი „ანტი-

ვირუსული“ მიუთითებს, რომ იგი კლავს ვირუსს ან თრგუნავს მათი გაზრდისა და გამრავლების უნარს. ტამიფლუ (ოსელტამივირი) და რელენზა (ზანამივირი) ყველაზე ხშირად გამოიყენება გრიპის სამკურნალოდ და ყველაზე ეფექტურია თუ მათი მიღება მოხდება დაავადების დაწყებიდან 24-48 საათის განმავლობაში.

რა იგულისხმება დაბალი ცხელების ქაფი?

ცხელება არის ორგანიზმის ბუნებრივი დამცველობითი თვისება. მაღალი ცხელება ეწოდება მდგომარეობას, როდესაც სხეულის ტემპერატურა 38°C-ზე ზევითაა. ნებისმიერ ტემპერატურას ნორმაზე ზევით და 38°C-ზე ქვევით ეწოდება დაბალი ცხელება. ბაქტერიებსა და ვირუსებს არ აქვთ მაღალ ტემპერატურაზე სიცოცხლის უნარი. სწორედ ამიტომ დაბალი ცხელების დროს არ არის სასურველი მკურნალობა, თუ ადგილი არ აქვს გართულებას.

როგორ დავაავადო იწვევს 3 კვირაზე მეტი სანერპლივობის დალივობა და სისუსტე?

მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობა და სისუსტე ვითარდება გაციების დროს, აღნიშნული სიმპტომები უფრო მკვეთრად გამოხატულია გრიპის დროს. გრიპის დროს დაღლილობა და სისუსტე შესაძლოა გაგრძელდეს 3 კვირა.

არსებობს თუ არა გასიების სამკურნალო საშუალებები?

არ არსებობს სპეციფიური პრეპარატები გაციების შემსუბუქების მიზნით. არსებობს წამლები ისეთი სიმპტომების სამკურნალოდ, როგორც არის ცხვირის გაჭედვა და ხველა. თუ გტკივთ ყელი და განუხებთ მაღალი ტემპერატურა, გაციების ნიშნების გარეშე, მიმართეთ ექიმს. ეს მდგომარეობა შესაძლოა გამომწვეული იყოს, ბაქტერიული ინფექციით და საჭიროებდეს ანტიბიოტიკებით მკურნალობას.

რა დისბანსიაა ვრსადავა გასიების და გრიპის წვეთები?

გრიპის ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა ხდება დახველების ან დაცემინების დროს წვეთების გამოფრქვევით. (ამას ეწოდება „წვეთით გავრცელება“). ეს ხდება, როდესაც დაავადებული ადამიანის დახველების ან დაცემინების შედეგად წვეთები გამოიფრქვევა ჰაერში და მოხვდება 1 მეტრის რადიუსში მყოფი ადამიანის პირის ღრუში ან ცხვირში. ვირუსები ასევე ვრცელდება, როდესაც ადამიანი შეეხება ვირუსის შემცველი წვეთებით დაბინძურებულ ზედაპირს და შემდეგ, ხელების დაბანამდე, საკუთარ პირს ან ცხვირს.

უფრო მეტი პროფილაქტიკა - ვაქცინაცია

გრიპის პროფილაქტიკის მთავარი და ყველაზე ეფექტური გზა ვაქცინაციაა.

გრიპის ვაქცინებზე მუშაობა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო და მას შემდეგ მისი შეზღუდვებისა და სიმართლების დაავადებათა კონტროლის ცენტრი წელს რეკომენდაციას უწევს სამკომპონენტო ვაქცინას, რომელიც სამი ტიპის ვირუსს — B ვირუსსა და A ტიპის ვირუსის ორ ქვეტიპს მოიცავს.

ვაქცინას უკუჩვენებები თითქმის არ გააჩნია და თითქმის ყველასთვისაა რეკომენდებული — განსაკუთრებით ზემოთ ჩამოთვლილ რისკ-ჯგუფში შემავალი ადამიანებისთვის. ვაქცინაციის შემდეგ იმუნიტეტი ერთ წელიწადს ძლებს, ამიტომ დაავადებისგან თავის დასაცავად ყოველწლიური ვაქცინაცია რეკომენდირებულია. ცნობილია ისიც, რომ ვაქცინაცია 3-4-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე გრიპისა და მისი გართულებების მკურნალობა



ესმა, ნინო და ლია ბულაშვილები სამიძიარს უცხადებენ დათო და ნანა სუნიტაშვილებს ძმის, მარინა და გია სუნიტაშვილებს მამის, გივი ლომიძის ოჯახს მამიდაშვილის ლესტო სუნიტაშვილის გარდაცვალების გამო.

ყურადღება!

2015 წლის მცირემინიონ ფერმერთა დახმარების პროგრამა კვლავ გრძელდება. საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ფარგლებში წელს, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, წინა წლებში ამ პროგრამის მიღმა დარჩნენ, ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევათ. იმ შემთხვევაში, თუ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი არ აღემატება 1,25 ჰა-ს, მათ უნდა მოიტანონ მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) და პირადობის მოწმობის ასლი მიმდინარე წლის 25 თებერვლამდე.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ გამგებლის წარმომადგენლებს ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს, ან დარეკეთ

599 91 75 73;
599 60 71 93.

„გზარალს თუ ერთი ერთული გზინალი გინს ჰყავს, მან თავისი მოხალეობა მოიხად“.



(მეექვსე გვერდიდან)

საკუთარი სამშობლოს ბედი და მითუმეტეს ხელოვან ხალხს. მეც ასევე, ძალიან მტკიცა ჩემი ქვეყნის მომავალი და ვფიქრობ, რომ ახალი ხელისუფლება სასიკეთო ნაბიჯების გადადგმას შეძლებს. მჯერა, რომ სასიკეთო მოქმედებას მოახდენს და ბევრი რამ შეიცვლება. ბევრი პრობლემა დგას საქართველოში და ეს დროულად მისახედა. მითუმეტეს ახალგაზრდებისთვის ბევრი რამ არის გააკეთებული. დასაქმების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და ალბათ, უფრო მასშტაბური ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ სოფელი არ დაიცალოს და ახალგაზრდა თაობამ რეგიონებში დამკვირვება და ადგილზე ცხოვრება შეძლოს. არ უნდა ფიქრობდეს ჩემი თაობის ახალგაზრდა, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რა გააკეთოს და სად დასაქმდეს. სოფელს სამრეკლოდან ვარ და როდესაც სოფელში ჩავდივარ, სულიერად ვისვენებ და ძლიან ნაყოფიერი შემოქმედებითი პერიოდი მაქვს ხოლმე. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ჩვენს რაიონში ყველაფერი სასიკეთოდ მიდის, იმედი მაქვს, რომ ასე გაგრძელდება. თვალმისაცემია, ამკარად იგრძნობა სასიკეთო ცვლილებები და იმედი, რომ უფრო მეტი სიკეთე მოხდება. წყალი გაზი და ელექტროენერჯის პრობლემები იმდენად მწვავედ არ დგას, გადაიდგა ნაბიჯები, თუმცა ინტერნეტის პრობლემა ქალაქ დედოფლისწყაროს მოსაზღვრე სოფლებში ისევ მწვავედ დგას. ეს ძალიან ბევრს აწუხებს, რადგან დღევანდელ რეალობაში ინტერნეტმა ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ვფიქრობ, რომ არ არის ძნელად გადასაჭრელი პრობლემა და გაუგებარია, რატომ არ ხდება სოფლების დაფარვა, მითუმეტეს რომ მოთხოვნა დიდია.

- რა პოტენციალს ხედავ „ქორების ტბის“ ირგვლივ, მისი განვითარების შემთხვევაში?
- რა თქმა უნდა, თუ მისი განვითარება მოხდება და ინვესტიცია ჩაიდება, ძალიან კარგი იქნება და ბევრი სტუმარი ეყოლება. შესანიშნავი დასასვენებელი ადგილი იქნებოდა, თუკი წყალი გაინმინდება და ინფრასტრუქტურა მოუწყობა.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ! მარინა ნაბროვილს! ნესტან ბალაქის!

ძვირფასო კოლეგებო, სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს ოჯახებთან ერთად. კვალავაც დიდხანს ვიდგეთ ერთმანეთის მხარდამხარ და ვემსახუროთ ისეთ საპატიო საქმეს, რასაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია.

ქ. დედოფლისწყაროს №3 ჰაბა-ბაღის თანამშრომლები

ნაირა გორაშვილს!

ჩემო ნაირა, ნომინაციაში „საუკუნის ლეგენდა“ შენი გვარი რომ ამოვიკითხე, სიხარულით ცას ვენიე. უნდა ვაღიარო, ძალიანაც არ გამკვირვებია, რადგან დაბადებიდან გიცნობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ შენ ამას იმსახურებ. ბავშობიდან აქტიური, მიზანსწრაფული, ნიჭიერი და შრომის მოყვარე იყავ. მეტი რა უნდა ადამიანს წარმატების მისაღწევად? გულით გილოცავ ამ ნომინაციაში გამარჯვებას და ასევე გილოცავ დაბადების დღეს. ვიცი, როგორ აპირებდი ამ თარიღის აღნიშვნას, მაგრამ, რა ვუყოთ, ძვირფასო, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. მეუღლის ავადმყოფობამ შეცვალა შენი გეგმები, მაგრამ ნუ გატყდები, მყარად დადექ! ჩემი შესენება არც გჭირდება, მაგრამ გთხოვ, ნუ მოდუნდები, ნუ დაკარგავ შენს სიმაღლეს! გისურვებ მარად მხნეობას, ჯანმრთელობას, უფრო მეტ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შენი უფროსი მეგობარი ზინო ბიკაშვილი

ბიორგი და მარინა მარაგლიშვილებს!

ჩემო უსაყვარლესო შვილიშვილებო, გილოცავთ დაბადების დღეს. დაე, ყოველი თქვენი დაბადების დღე ყოფილიყოს ბედნიერების, სიყვარულის, სიხარულის მომტანი. ჩემო ნატურული შვილიშვილო, გიორგი, შენ ხომ წელს 21-თებერვალს 18 წელი შეგისრულდა და ხარ აბიტურიენტი. მინდა, წინასწარ მოგილოცო და გისურვო შენი სურვილების ასრულება და ის დღე და ნუთები, როდესაც შენ შეაღებ უმაღლესი სასწავლებლის კარებს. ჩემო მარინა, შენ კი უკვე მესამე კურსის სტუდენტი ხარ. ღმერთს ვთხოვ, რომ ბიძაშვილებს და მამიდაშვილებს ახლო ურთიერთობა დაგემყარებინოთ. მაქვს იმედი, არ დაკარგავთ ერთიმეორეს. ორივეს გკოცნით, გეფერებით და უსაზღვროდ მიყვარხართ.

სიყვარულით, ცინცინო ბაპო.

ლალი გოჭორიშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მხნეობას და ბევრ სიხარულს ჩვენთან ერთად. შენა ხარ ჩვენი ოჯახის ბურჯი, შენს ირგვლივ ვტრიალებთ ყველა. შენი სიტბო და ალერსი არ მოგვაკლდეს და დიდხანს გვეგულეობდე ჩვენს საიმედოდ.

გვიყვარხარ, გკოცნით და გეფერებით.

მეუღლე ზინი, შვილები: ლია და ბიძა, შვილიშვილები: დიმიტრი და ანა ალუღიშვილები, მამა და ირაკლი ხუციშვილები.

ამინდი		დედოფლისწყარო		საბურთალო		კვირი	
ორშაბათი 23.02 დღე	სამშაბათი 24.02 ღამე	ოთხშაბათი 25.02 დღე	სუთშაბათი 26.02 ღამე	პარასკევი 27.02 დღე	შაბათი 28.02 დღე	კვირა 01.03 დღე	კვირა 01.03 ღამე
1°	0°	1°	2°	3°	1°	4°	1°
3°	1°	4°	3°	3°	0°	6°	5°

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს უსაზღვროდ მიყვარხართ.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მახრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მწვეფი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე.

ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფრონის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფრონისმანი“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის (ა)იპო კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრთან ერთად, ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორთა გამოვლენის მიზნით, აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა შემოქმედითათვის (30 წლამდე).

პოეტური ან პროზაული ნაწარმოები უნდა წარმოადგინოთ 2015 წლის 1 მაისამდე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში, კოსტავას ქ. N1

☎ 595-09-05-03

ხოლო ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ გადმოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: gionatroskhvili@mail.ru; ან kulturis.centri@rambler.ru

ნაწარმოებს თან უნდა ახლდეს მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი საუკეთესო ავტორი, რომელთა ნაწარმოებებიც დედოფლისწყაროს ლიტერატურულ და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმანახში „ხორნაბუჯი“ დაიბეჭდება.

დანვრლებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ☎ 598-851-815, 598-54-07-64

ყურადღება!

1 მარტიდან ქალაქ დედოფლისწყაროში ფუნქციონირებას იწყებს ინკუბატორი. მიიღება შეკვეთები ნინილებზე. აგრეთვე შევისყიდით საინკუბაციო კვერცხს ქათმის, ინდაურის, ციციურის, მწყერის და ხობის. მისამართი: კოსტავას ქუჩა N14. შემოსასვლელი პოლიციის, ან ბაზრის მხრიდან, კულტურის სახლის გვერდით.

☎ 579 33 07 41, 555 00 79 16, 598 00 79 16, 557 23 88 99, 571 15 72 86, 790 40 82 15.

იყიდება!

იყიდება სამოთახიანი ბინა მე-2 სართულზე ქალაქის ცენტრში. მისამართი: სტალინის (ჭერეთის) ქ. N80, კორ. 49, ბინა 15.

☎ 790 28 12 02, 591 60 45 13.